	შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შევისწავლეთ რამდენიმე მოსწავლის პირადი საქმეები: 1. ო.თ_მე-7,მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასები; 2.ც.ბ_ მე-7,მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასები; 3.ე.კ _მე-7,მე-8, მე-9კლასები; 4.ი.ზ_ მე-7,მე-8, მე-9, მე-10 კლასები; 5.ნ.ჯ_ _მე-7,მე-8, მე-9კლასები; 6. მ.ბ_მე-7,მე-8, მე-9, მე-10კლ; 7. ა.გ მე-5 და მე-6; 8.დ.ბ მე-5 და მე-6 არცერთ პირად საქმეში აღნიშნული წესით არ არის გამოთვლილი საფეხურის ქულა, აგრეთვე არ არის აღნიშნული საერთო წლიური ქულაც. კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებში არის შეფასების სქემები. მოსწავლეებთან გასაუბრებით ირკვევა რომ შეფასების კრიტერიუმები ცნობილია მათთვის, ტესტური დავალებების ფორმაც მისაღებია, თუმცა სხვა ტიპის სამუშაოებსაც (კომპლექსური დავალებები) ინტერესით შეასრულებდნენ. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა შემდეგი: მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, მუშაობენ პროექტებზე, თუმცა შემაჯამებელ კომპონენტში უპირატესობას ტესტური ტიპის დავალებებს ანიჭებენ, რომლებიც არ არის მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნის შემოწმებაზე ორიენტირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • მასწავლებლების საქაღალდეები • სასკოლო ჟურნალები • მოსწავლეთა [პირადი საქმეები • ინტერვიურება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. ყოველ პარასკევს მშობელს უფლება აქვს სკოლაში მიიღოს ინფორმაცია ყველა საგნის პედაგოგისაგან და დამრიგებლისგან მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევისა და გაცდენების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა აწყობს არაგეგმიურ შეხვედრებს და ღონისძიებებს მოსწავლეების მშობლებთან. ამასთან სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით დამრიგებელს ევალება მშობლის ინფორმირება მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ მინიმუმ თვეში ერთხელ. გარდა ამისა სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შესაძლებელია მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება არ მხოლოდ აკადემიური მდგომარეობის, არამედ გაცდენებისა და ყოფაქცევის შესახებაც. გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს ელექტრონული ჟურნალის მოქნილობა ონლაინ სწავლის დროს. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ასევე ელექტრონულ ფოსტას სატელეფონო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შეტყობინებას და სოციალურ ქსელს. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში რეგულირდება მშობელთა კომიტეტის დებულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამა • მშობელთა კომიტეტის დებულება • ინტერვიურება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთ თავში „სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და გადახედვის პროცესში“აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ამ მექანიზმის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება, კერძოდ სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები და კლასის დამრიგებლები, ასევე მოსწავლეები და მათი მშობლები. თითოეული რგოლი აკვირდება მისთვის შესაბამის სფეროს და ხდება დაკვირვება და მონაცემთა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შეგროვება. დაკვირვების ობიექტებია სასწავლო გეგმები, შემაჯამებელი სამუშაოები და მათი ანალიზები; საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია, მასწავლებლების გაკვეთილზე დასწრების მასალები, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები და სხვა ამ დოკუმენტების ანალიზის შედეგად ხდება სასკოლო გეგმის შესრულების გაანალიზება და შემდგომი დაგეგმისას შედეგების გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1.მესამე მოდელს საათობრივი ბადის შემუშავების შემთხვევაში საჭიროა, სკოლამ სამინისტროს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება,თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების მიღწევას.ესგ-მუხლი 56. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 164/ნ მიღების თარიღია 08.08.2019 წელი, გამოქვეყნების თარიღია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	14.08.2019 წ.). 2.სკოლამ დისტანციური სწავლების დროს გაითვალისწინოს მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობა. რომლის თანახმად გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების რაოდენობა არის: I- IV კლასებში-1სთ, V- IX--1,5. დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა ა) I-IV კლასებში – 20 წუთი; ბ) V-IX კლასებში – 30 წუთი; გ) X-XII კლასებში – 40 წუთამდე. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/ნ ბრძანება 2020 წლის 9 სექტემბერი). 3. სსსმ მოსწავლედ განისაზღვროს სწავლაში ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეების მქონე მოსწავლე. ესგ.მუხლი41,მე-2 პუნქტი. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა დასპორტის მინისტრის 2018 წლის 7 სექტემბრის №32/ნ ბრძანებას.) 4. ინკლუზიური განათლების პროგრამაში გაიწეროს, მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 8 აგვისტოს ბრძანება. 5.სსსმ მოსწავლისთვის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლამ გაითვალისწინოს ესგ-ს 44 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები-სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას. 6. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში, სკოლამ გაითვალისწინოს ესგ-ს 32 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები. 7. .შესაბამისობაში მოვიდეს სსგ-ს შეფასების სისტემების 4.5 მუხლი სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებასთან.
რჩევები:	შეფასების დროს, სკოლას შეუძლია გამოიყენოს ესგ 32 მუხლის, მე-4 პუნქტი (კერძო სკოლა უფლებამოსილია შეფასების კომპონენტების წონა განსაზღვროს განსხვავებულად)
ხარვეზები:	1.არ არის სამინისტროში წარდგენილი მესამე მოდელს საათობრივი ბადის შესაბამისი დასაბუთება,თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების მიღწევას.ესგ-მუხლი 56. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 164/ნ მიღების თარიღია 08.08.2019 წელი, გამოქვეყნების თარიღია 14.08.2019 წ.). 2. დისტანციური სასწავლო პროცესის დროს არ არის გათვალისწინებული მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობა. რომლის თანახმად გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების რაოდენობა არის: I- IV კლასებში-1სთ, V- IX--1,5. დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა ა) I-IV კლასებში – 20 წუთი; ბ) V-IX კლასებში – 30 წუთი; გ) X-XII კლასებში – 40

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	წუთამდე. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/ნ ბრძანება 2020 წლის 9 სექტემბერი). 3.ინკლუზიურ პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლაში ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეების მქონე მოსწავლის სსსმ მოსწავლედ განსაზღვრას.ესგ.მუხლი41,მე-2 პუნქტი. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 7 სექტემბრის №32/ნ ბრძანებას.) 4.სკოლის ინკლუზიური პროგრამა არ განსაზღვრავს მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 8 აგვისტოს ბრძანება. 5..სსსმ მოსწავლისთვის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა არ ითვალისწინებს ესგ-ს 44 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებს-(სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას). 6. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში, არ არის გათვალისწინებული ესგ-ს 32 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები.(შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ.,ესეს დაწერა, პროექტის მომზადება,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა,სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადებადა სხვ.).
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის	შპს ბრიტანიკა ფუნქციონირებს ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. N65-ში მდებარე ფართზე განთავსებულ სამსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით შეადგენს 873კვ.მ. დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა „შენობის მეიჯარესთან დადებული ხელშეკრულება“ რომლის მიხედვით იჯარის ფართს შეადგენს 906.05 კვ. მ. ხელშეკრულების მიხედვით იჯარის ვადის ათვლა იწყება 2017 წლის 01 თებერვლიდან 6 წლის ვადით. **(დანართი N2).**
ფაქტობრივი მისამართი	**ქალაქი თბილისის, ჩარგლის ქუჩა N65.**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**N 01.12.06.018.001**
კვ.მ.	**873კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან • „შენობის მეიჯარესთან დადებული ხელშეკრულება“
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში არის 21 საკლასო ოთახი, ერთი კომპიუტერული კლასი, საპრეზენტაციო ოთახი, სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთს მაგიდები. სამასწავლებლო, დირექციის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, სასადილო, სანიტარული ნივთების შესანახი ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და საკონფერენციო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია 328 ერთადგილიანი მერხი და სკამი. ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის მიხედვით სკოლას გააჩნია ერთადგილიანი 336 მერხი. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია პლაკატებით. რუკებით, ცხრილებით და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებითა და სწავლისთვის საჭირო რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ინვენტარის შემენისა და ჩუქების დოკუმენტებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას გააჩნია სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდები, მატრასი და სხვა სპორტული ინვენტარი. სპორტული დარბაზი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, რომლის ფართი შეადგენს 59.4კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. აღნიშნული ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში. ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული ნიჟარა ონკანით და გამწოვი, რაც ხელს უშლის ექსპერმენტების ჩატარებას ან მათ უსაფრთხო ჩატარებას. თუმცა არის განიავების საშუალება - ფანჯარა. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი ნივთიერებები და ხელსაწყოები, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ქიმიაში ექსპერიმენტები ნაკლებად ტარდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია 2 სველი წერტილი: ვაჟებისთვის და გოგონებისთვის. მეორე სართულზე მოწყობილი სველი წერტილი განკუთვნილია სკოლის თანამშრომლებისთვის, ხოლო მესამე სართულზე განთავსებულია საპირფარეშო ბიჭებისათვის. დავინტერესდით რა მდგომარეობაში იყო სველი წერტილები. ვიზიტის დროს სამივე სართულზე სველ წერტილებში იყო სისუფთავე, თუმცა პირველი სართულის საპირფარეშოებში იყო კანალიზაციის სუნი. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შენობის გარეთ არსებული საკანალაზაციო სისტემა იყო არასწორად მოწყობილი, მან არაერთხელ მიმართა ქალაქის შესაბამის სამსახურებს, თუმცა პრობლემის ძირეულად გადაჭრა ვერ მოხერხდა. ხდებოდა მილების გაწმენდა, რაც პრობლემას მხოლოდ მცირე ხნით ჭრიდა. ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მზად არის ხელშეკრულება საკანალიზაციო მილების გამართვისათვის შეკვეთილი სამუშაოების შესახებ, თუმცა ხელშეკრულება ჯერ არ იყო ხელმოწერილი. ვიზიტის დროს, სკოლის შენობის გარეთ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებას მუდმივად მიეწოდება წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია. ვიზიტის განხორციელების საფუძვლიდან გამომდინარე გადამოწმდა დაწესებულების მიერ კომუნალური გადახდები. დადგინდა, რომ თებერვალსა და მარტში ბუნებრივი აირის გადასახადი შეადგენდა 1523.50ლარს და 1105.50 ლარს **(დანართი N3)**. რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ამ თვეებში გათბობა ჩართული იყო. 2020-2021 წელს სწავლება ძირითადად დისტანციურად

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიმდინარეობდა, შესაბამისად ზამთრის თვეებში მოსწავლეები სკოლაში არ დადიოდნენ, ამიტომაც ფიქსირდება ბუნებრივ აირზე შედარებით დიდი ოდენობით გადახდები მხოლოდ მარტსა და აპრილში (თებერვალში და მარტში მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადი). აღნიშნულის შესახებ გავესაუბრეთ იმ მშობელსაც, რომელმაც განცხადებით მიმართა ცენტრს, მან აღნიშნა, რომ წელს მეტ-ნაკლებად სითბო იყო სკოლაში თუმცა წინა წლებში იყო სიცივე. სკოლის მოსწავლეებთან საუბრის დროსაც, მოსწავლეებს არ დაუჩივლიათ სკოლაში გათბობის პრობლემებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები; • მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცე. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება. ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკიდან დერეფნებსა და საკლასო ოთახებში იყო გამოტანილი წიგნები და ინვენტარი. შესაბამისად წიგნების სრულად შემოწმება ვერ მოხერხდა. თუმცა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დერეფანში არსებული წიგნებიდან გადამოწმდა რამდენიმე წიგნი, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი წიგნი იყოს წესის შესაბამისად დამუშავებული, ხოლო ზოგი არა. დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს ახალი წიგნები იყო და მათი დამუშავება ჯერ ვერ მოხერხდა, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, წიგნების შესაბამის სივრცეში განთავსების დროს მოხდებოდა აღნიშნული წიგნების დამუშავებაც. დაწესებულებაში წიგნების განთავსება იგეგმება ანბანურად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • საინვენტარო წიგნებით; • წიგნების შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ასევე არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე არც მოსწავლე და არც თანამშრომელი. სკოლის შენობაში დამონტაჟებული იყო პანდუსები,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გაიხნებოდა კიბეზე. თუმცა სკოლას არ აქვს საპირფარეშო მოწყობილი ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, ეტლით მოსარგებლე პირს გაუჭირდება საპირფარეშოში გადაადგილება, რადგან იქ განთავსებულ ბოქსებში მოსახვედრად საჭიროა ერთი კიბის საფეხურის სიმაღლის ბარიერის დაძლევა, რაც ეტლით მოსარგებლისთვის რთული, ხოლო რიგ შემთხვევაში შეუძლებელიც კი იქნება. ასევე არცერთ სველ წერტილში არ არის განთავსებული საყრდენი მოაჯირი. ეტლით მოსარგებლე პირისათვის ასევე რთული იქნება მოხვედრა სპორტულ დარბაზში, რადგან მას მოუწევს ერთი კიბის საფეხურის სიმაღლით ჩასვლა იატაკის დონიდან. არც ამ საფეხურზე არ არის განთავსებული პანდუსი. ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სივრცე მოეწყოთ ისე, რომ სკოლის ყველა რესურსი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა მოსწავლისათვის თანაბრად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ დაწესებულებას აქვს 13 კომპიუტერი. დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი. ინტერნეტის შესყიდვის ხელშეკრულება დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა „სილქნეტთან“. დაწესებულებას ვიზიტის დროს არ გააჩნდა ვებ-გვერდი. სკოლის ხელმძღვანელის განცხადებით, პრობლემა შეიქმნა მას მერე, რაც „მაგთიმ“ დომენების რეგისტრაციის უფლება გადასცა სხვა კომპანიებს. სკოლის დირექტორის თქმით მან გადაუხადა ერთ-ერთ კომპანიას როგორც დომენის, ისე ჰოსტის საფასური, თუმცა მათ მიერ ვებ-გვერდის ამუშავება არ მომხდარა. ექსპერტების მიერ გადამოწმდა გადახდის ქვითრები **(დანართი N4)**, რომლის მიხედვითაც დგინდება რომ serv-ge-ს დაწესებულებამ გადაუხადა 6 თვის ჰოსტინგის საფასური 2019 წლის 18 მარტს, ხოლო ჰოსტინგის საფასურის შემდეგი გადახდა ფიქსირდება 2021 წლის 10 იანვარს სხვა ჰოსტინგ კომპანიასთან. აღნიშნული გადახდების მიხედვით დაწესებულებას ჰოსტინგის საფასური არ გადაუხდია სექტემრბიდან იანვრის ჩათვლით, რაც სავარაუდოდ გახდა სერვერზე არსებული ფაილების წაშლის მიზეზი. დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გეგმავს შეცვალოს ვებ-გვერდის მისამართი და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ნაცვლად Britannica.ge-სა, სკოლის ვებ-გვერდი იქნება Britannica.edu.ge, რისთვისაც დაწყებული აქვს შესაბამისი მოლაპარაკებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვების დოკუმენტაციით; • ჰოსტისა და დომენის გადახდის ქვითრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, სადაც გაწერილია ხანძრის დროს შესასრულებელი მოქმედებები. სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და გეგმის შესაბამისად განთავსებულია ცეცხლმაქრები. ყველა ცეცხლმაქრი იმყოფებოდა დამუხტულ მდგომარეობაში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც აღნიშნულია გეგმების განთავსების ადგილი და ცეცხლმაქრების მდებარეობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვების დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	დაწესებულებას ჰყავს ექიმი და სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. ექიმის კაბინეტში განთავსებული იყო: მედიკამენტების კარადა, მაცივარი, საწოლი და სხვა სამედიცინო ინვენტარი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ექიმი აწარმოებდა გაცემული მედიკამენტების აღრიცხვას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით; • ვიზუალური დათვალიერებით; • მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის ჟურნალით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი **(დანართი N5)**, ასევე შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი **(დანართი N6)**, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით; • უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით; • სკოლის ხელმძღვანელტან გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო 3 კამერა. გარე პერიმეტრზე, მთავარ შესასვლელთან, დამონტაჟებულია ორი გარე კამერა, ხოლო შენობის უკანა მხარეს პერიმეტრის გასაკონტროლებლად ასევე დამონტაჟებული იყო კიდევ 2 კამერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე სივრცეზე მეთვალყურეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება და შინაგანაწესი. ასევე საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტაციით სკოლა წარმართავს თავის ყოველდღიურ საქმიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდებით; • დებულებით; • შინაგანაწესით; • საქმისწარმოების წესით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2016-2021 წწ) და 2020-2021 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. ერთწლიან გეგმაში გაწერილია ის აქტივობები რაც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, ასევე განსაზღვრულია თითოეული აქტივობისთვის მისი შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი პირი. რაც შეეხება ექვსწლიან გეგმას, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ასევე სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზებაში შემავალი პრიორიტეტული მიზნები. ასევე განსაზღვრულია ამ მიზნების მისაღწევად გადასაჭრელი ამოცანების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ ამოცანები თავისი შინაარსით წარმოადგენენ იმ ყოველდღიურ აქტივობებს, რაც დამახასიათებელია ყოველდღიური სასკოლო ცხოვრებისთვის. მაგ. ინკლუზიური განათლება, სკოლის სასწავლო გეგმა, საათობრივი ბადე, სადამრიგებლო პროგრამების ამოქმედება, ბიბლიოთეკის ჩართვა სკოლის აქტიურ ცხოვრებაში, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ. გეგმაში წარმოდგენილი ყველა ამოცანა განსაზღვრულია, რომ უნდა შესრულდეს ყოველ წელს. **(დანართი N7)**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვა. რისთვისაც არსებობს „გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი“ და „შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი“. ორივე ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დაბეჭდილია. სკოლაში ასევე არსებობს „საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი“ და „საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი“. აღნიშნული ჟურნალებიც დანომრილია, აკინძულია და დაბეჭდილია, ჟურნალებში ხდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა. დაწესებულებაში არსებობს მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ორივე ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დაბეჭდილია. ორივე ჟურნალში ხდება გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლაში ასევე არის „შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი“. ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დაბეჭდილია. მასში ასახულია რომელ დღეს რომელი გაკვეთილი რომელი გაკვეთილით ჩანაცვლდა და ვინ იყო გამცდენი და ჩამნაცვლებელი მასწავლებელი. ასევე მითითებულია ჩანაცვლებული გაკვეთილების რაოდენობა. დაწესებულებას ასევე აქვს „მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი“. სადაც აღნიშნულია მოსწავლეთა მობილობის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული წიგნიც დანომრილია, აკინძულია და დაბეჭდილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რეკომენდაციები:	ლაბორატორია აღიჭურვოს ექსპერემენტების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. ონკანით და გამწოვით. ან სკოლამ შეიმუშავოს ექსპერიმენტების ჩატარების ალტერნატიული საშუალება მაგ. გამოიყენოს ვირტუალური ლაბორატორია. დაწესებულებამ განათავსოს პანდუსები ისე, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სასკოლო რესურსით. სველი წერტილები მოეწყოს ისე, რომ ეტლით მოსარგებლემ შეძლოს თავისუფლად გადაადგილება და დამონტაჟდეს საყრდენი მოაჯირი. შეიქმნას ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს სკოლის შესახებ ინფორმაცია. სკოლიდან თანამშრომლებიდან გამოიყოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე. დაწესებულებამ შეიმუშავოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი რომელიც თავსებადობაში იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებასთან და უზრუნველყოს მისი შესრულება. ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში გაიწეროს გეგმა, რომელ წელს რა არის დაგეგმილი თითოეული სტანდარტის გასაუმჯობესებლად.
რჩევები:	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ხარვეზები:	სასკოლო ლაბორატორიაში ონკანისა და გამწოვის არარსებობის გამო შეფერხებულია ექსპერიმენტების ჩატარება. სასკოლო სივრცე არ არის მორგებული ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ სკოლის ყველა სივრცეზე. მაგ საპირფარეშოებზე და სპორტულ დარბაზზე. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანების შესაბამისად სკოლის ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ყოველწლიურად შესასრულებელი აქტივობები, აღნიშნული გეგმიდან ვერ დგინდება რა მიმართულებით გეგმავს სკოლა განვითარებას მომდევნო წლების განმავლობაში.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში დაფიქსირებული იყო 45 თანამშრომელი. მათგან 40 მასწავლებელი. მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზის მიხედვით თანამშრომელთა რიგებში ასევე შედიან: დაცვა, ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი, ოფისმენეჯერი, ბუღალტერი, დირექტორი (ამავე დროს არის მასწავლებელი), ბიბლიოთეკარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ბაზებით; • დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

პედაგოგთა საერთო რაოდენობა	40
მოწვეული/მაძიებელი	2 მაძიებელი მასწავლებელი
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	20
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან, 18 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი მინიჭებული, დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით ისინი იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და დარეგისტრირებულნი არიან გამოცდაზე. სტატუსი კი მიმდინარე წელს ბაზაში აღარ ჩანდა. მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათ ნამდვილად ჰქონდათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა მათგან რამდენი იყო დარეგისტრირებული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიმდინარე წელს დანიშნულ გამოცდებზე ვერ მოხერხდა. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით გამოცდაზე დარეგისტრირებულია 15 მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები. • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლების ასევე წახალისებისა და სანქციებისათვის ცალკე დოკუმენტი დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული, თუმცა ეს ყველაფერი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესში ცალ-ცალკე თავი ეთმობა თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესს, ასევე გაწერილია შინაგანაწესის დარღვევისათვის პასუხისგების ფორმები, დისციპლინური სახდელების უფლებამოსილი პირები და პასუხისგების ფორმები, ხოლო შინაგანაწესის VIII თავი ეთმობა წახალისების ფორმებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთაგან გარდა 3 მასწავლებლისა. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით ისინი იმყოფებოდნენ დეკრეტულ შვებულებაში, თუმცა წარმოადგინა მხოლოდ ერთი მასწავლებლის დეკრეტულ შვებულებაში გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი **(დანართი N8).** ს. გ.-ს და თ. ჩ.-ს შრომით ურთიერთობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის შეუსაბამობა. კერძოდ - ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი გაფორმებულია 2020 წლის 05 სექტემბერს ერთი წლის ვადით, მაგრამ „კონტრაქტის მოქმედების ვადის“ მუხლში იქვე აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების მოქმედება წყდება 2021 წლის 30 ივნისს **(დანართი N9).** დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ვადის შესახებ ჩანაწერი ტექნიკური ხასიათის ხარვეზია და წარმოადგინა თანამშრომელთა არაანაზღაურებადი შვებულების შესახებ სკოლის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დირექტორის ბრძანება, სადაც შვებულების ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 01 ივლისიდან 05 სექტემბრამდე **(დანართი 10).**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • თანამშრომლების საზაფხულო შვებულებაში გაშვების შესახებ სკოლის დირექტორის 30 ივნისის N37 ბრძანება • ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას საშტატო ერთეული.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დაწესებულების თანამშრომლები თანამშრომლობენ მასწავლებელთა პროფესიულ კავშირებთან, სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს ტრენინგების შესახებ. ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ გავლილი სხვადასხვა ტრენინგების ჩამონათვალი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები კათედრებზე. ხდება პედაგოგთა ურთიერთდასწრება, ურთიერთშეფასება და ურთიერთსწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გასაუბრებით; • სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებით; • მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი კურსების დამდასტურებელი დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა სამუშაო ატმოსფერო. შენობის დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრებით. მშობლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სკოლის შედეგებით. მშობლები აღნიშნავდნენ სკოლის ადმინისტრაციის ყურადღებას და კეთილგანწყობას როგორც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მათ მიმართ, ასევე ბავშვების მიმართ. ასევე ხაზს უსვამდნენ მასწავლებელთან აქტიურ კომუნიკაციას და მასწავლებლების მზაობას ითანამშრომლონ მშობლებთან და ბავშვებთან. მასწავლებელთა პორტფოლიოების შემოწმებით გამოჩნდა მასწავლებელთა თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. აღნიშნული შესამჩნევი იყო მასწავლებლებთან ინტერვიუზეც. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების და რესურსების გაზიარება. აქტივობების ერთობლივად დაგეგმვა და განხორციელება. მოსწავლეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათაც გააჩნიათ პოზიტიური დამოკიდებულება სკოლისადმი და დაინტერესებულნი არიან სწავლის პროცესით. ისინი თვლიან, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ როგორც მასწავლებლებს, ასევე ადმინისტრაციას თავისი იდეების განხორციელებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • მშობლებთან გასაუბრებით; • მოსწავლეებთან გასაუბრებით; • მასწავლებლებთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რეკომენდაციები:	ს. გ.-ს და თ. ჩ.-ს შრომით ურთიერთობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი მოიძიოს და მათი არსებობის შემთხვევაში წარუდგინოს ავტორიზაციის საბჭოს.
რჩევები:	
ხარვეზები:	დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა 2 მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 – 69(სამოცდაცხრა) ფურცელი

დანართი 2 – 4 (ოთხი) ფურცელი

დანართი 3 – 2 (ორი) ფურცელი

დანართი 4 – 2 (ორი) ფურცელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დანარათი 5 – 4 (ოთხი) ფურცელი

დანარათი 6 – 5 (ხუთი) ფურცელი

დანარათი 7 – 2 (ორი) ფურცელი

დანარათი 8 – 1 (ერთი) ფურცელი

დანარათი 9 – 2 (ორი) ფურცელი

დანარათი 10 – 1 (ერთი) ფურცელი

სულ – 92 (ოთხმოცდათორმეტი) ფურცელი

(შევსების ადგილი) **თბილისი** **თარიღი: 11 აგვისტო 2021 წელი**

გვერდების რაოდენობა: **74 გვერდი**

Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2021.08.11

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.